

**ინდ. მეწარმე თემურ ხომასურიძის მეორადი შესაფუთი მასალის გადამამუშავებელი საწარმოს (პოლიეთილენის და პოლიპროპილენის ნარჩენების აღდგენა) მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება**

**საერთო მონაცემები:**

**საქმიანობის დასახელება:** მეორადი შესაფუთი მასალის გადამამუშავება (პოლიპროპილენის და პოლიეთილენის ნარჩენების აღდგენა)

**საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი:** ინდ. მეწარმე თემურ ხომასურიძე, ქ. ზესტაფონი, ს. ზაქარიაძის N24ა, ბ14

**საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქ. ზესტაფონი, ს. ზაქარიაძის N27

**განაცხადის შემოსვლის თარიღი:** 29.12.2023

**მონაცემები ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შემდგენლის შესახებ:** შპს „სამთავრო“.

**ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის და გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკის შეფასება**

მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 47-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააგენტოში წარმოდგენილია „ქ. ზესტაფონში, ინდ. მეწარმე თემურ ხომასურიძის მეორადი შესაფუთი მასალის გადამამუშავებელი საწარმოს (პოლიპროპილენის და პოლიეთილენის ნარჩენების აღდგენა) მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში და მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი (წერილი N12974; 29.12.2023). წარმოდგენილ ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანებები N18/ს და N203/ს) და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცენტრის მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N 21/2386), ინდ. მეწარმე თემურ ხომასურიძის მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N3896), კერძოდ: დაზუსტდა ინფორმაცია ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედებისა და წარმოებული პროდუქციის შესახებ. წარმოდგენილ იქნა განახლებული იჯარის ხელშეკრულება, დაზუსტდა/დაკორექტირდა წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული გარკვეული საკითხები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ქ. ზესტაფონში სერგო ზაქარიაძის N27-ში განთავსებულია მეორადი შესაფუთი მასალის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც

ფუნქციონირებს 2015 წლიდან, ხოლო ინდ. მეწარმე თემურ ხომასურიძე საწარმოს ექსპლუატაციას ახდენს 2021 წლიდან. ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის თანახმად, ინდ. მეწარმე თემურ ხომასურიძის მეორადი შესაფუთი მასალის გადამამუშავებელი საწარმოში ხდება პოლიპროპილენის გამოყენებული პარკების და პოლიეთილენის ტომრების გადამამუშავება და მათგან პოლიეთილენის ან/და პოლიპროპილენის ნატეხების (ე.წ. აგრემერატის) მიღება. ანგარიშის მიხედვით შესაძლებელია მისი პირდაპირი რეალიზაცია, ან მისგან შესაბამის დანადგარში გრანულატორში - გრანულების მიღება ან/და მცირე პრეს-ფორმების მიღება ჰიდრაულიკური წნეხის გამოყენებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ინდ. მეწარმე თემურ ხომასურიძე იჯარის ხელშეკრულებით ფლობს, საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შპს სასწავლო საწარმოო წამოწყება ზესტაფონის (ს/კ 230029484) საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 32.10.41.026) მდებარე ორსართულიანი შენობის (N1 შენობა) პირველ სართულზე არსებულ ორ ოთახს, საერთო ფართობით 90 მ<sup>2</sup>, სადაც განთავსებულია ტექნოლოგიური დანადგარები. ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში წარმოდგენილია მიწის ნაკვეთის (სადაც მდებარეობს იჯარით აღებული ფართი) საზღვრების კუთხეთა კოორდინატებისა და იჯარით აღებული შენობის GPS კოორდინატები. ასევე წარმოდგენილია შესაბამისი Shape ფაილები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ობიექტის მიმდებარედ, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ფუნქციონირებს ავტოსახელოსნო, ბლოკის და სადურგლო საწარმოები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აღნიშნული საწარმოს მსგავსი პროფილის სხვა წარმოება მის მიმდებარედ არ არის. საწარმოს შენობასთან საავტომობილო გზა მიდის ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან, რომელიც უერთდება სერგო ზაქარიაძის ქუჩას. საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 60 მეტრით (ს.კ. 32.10.41.008), იჯარით აღებული შენობიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 52 მეტრში მიედინება მდ. ყვირილა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ინდ. მეწარმე თემურ ხომასურიძე თავად არ ახდენს გადასამუშავებელი ნედლეულის შეგროვებას და ტრანსპორტირებას. მეორადი, პოლიპროპილენის პარკების (ცელოფანი) და პოლიეთილენის ტომრების საწარმოში შეტანა ხდება იმ საწარმოების მიერ, სადაც წარმოიქმნება შესაბამისი ნარჩენი.

ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის თანახმად, გადასამუშავებელი ნედლეული „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად, წარმოადგენს პლასტმასს, კლასიფიცირების კოდით - 20 01 39. გადასამუშავებელი ნედლეული მიეკუთვნება არასახიფათო ნარჩენს. ნარჩენის აღდგენის კოდი R3.

აუდიტის ანგარიშის შესაბამისად საწარმოში ხდება მეორადი პოლიპროპილენის პარკების და პოლიეთილენის ტომრების (ფქვილის, შაქრის და სხვა საკვები პროდუქტების შესაფუთი მასალა) ხელით დახარისხება, შემდგომი გადამამუშავების მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დახარისხებისას გამოცალკევებული, დასამუშავებლად ვარგისი ცელოფანის პარკი (პოლიპროპილენი) მონაცვლეობით, ხელით იყრება დასაქუცმაცებელ

დანადგარებში, სადაც სპეციალური დანის საშუალებით ხდება მასალის დანაწევრება-დაქუცმაცება (ტემპერატურა არაუმეტეს 80°C). შემდგომ ამავე დანადგარებში დანაწევრებულ მასას ემატება წყალი (14 კგ. ნედლეულს 1 ლ. წყალი) რაც განაპირობებს ერთგვაროვანი სიმკვრივის პროდუქციის მიღებას. მიღებული პროდუქტი ჩერდება წყლის სრულ აორთქლებამდე და იყრება სპეციალურ კონტეინერში ან ტომრებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შესაძლებელია მიღებული პროდუქციის – აგრემერატის, პირდაპირი რეალიზაცია ან მისგან შესაბამის დანადგარში - გრანულატორში გრანულების და მცირე პრეს-ფორმების მიღება ჰიდრავლიკური წნეხის გამოყენებით. ანალოგიური ტექნოლოგიით ხდება პოლიეთილენის ტომრების გადამამუშავებაც. ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის თანახმად, თუ მიღებული აგრემერატი შეიცავს პლასტმასის დიდი ზომის ნატეხებს, იგი დამატებით იმსხვრევა და ქუცმაცდება მცირე ზომის სპეციალურ სამსხვრევეში დახურულ სივრცეში. გადასამუშავებელი ნედლეულის გარეცხვა და მისგან სხვა ნივთიერებების გამოყოფა არ ხდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წლიურად გადასამუშავებელი ნედლეულის რაოდენობაა მეორადი ცელოფნის პარკი (პოლიპროპილენი) 15 ტ/წელ და მეორადი ტომრები (პოლიეთილენი) 40 ტ/წელ. სამუშაო დღეების რაოდენობაა წელიწადში 260 დღე, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. საქმიანობის პროცესში დასაქმებულია 3 ადამიანი.

ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის თანახმად, საწარმო-ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებულია შემდეგი დანადგარები: 2 ერთეული ნედლეულის საჭრელი მიქსერი (დასაქუცმაცებელი დანადგარი) ნედლეულის ჩასაყრელი ბარაზნის დიამეტრებით 800 მმ და 700 მმ, გრანულატორი, ნედლეულის მისაღები სამი სექციით, სამსხვრევი დანადგარი, გამყარებული პოლიეთილენის და პოლიპროპილენის ნატეხების დასაქუცმაცებლად და ნახევრად ავტომატური ჰიდრავლიკური წნეხი, რომელიც აღჭურვილია თერმოსტატული მართვის ღუმელით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ტექნოლოგიურ ციკლში საწვავი არ გამოიყენება, გამოიყენება მხოლოდ ელ. ენერჯია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში წყლის გამოყენება ხდება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის. სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის წყალი გამოიყენება საოფისე შენობაში და სანიტარულ კვანძებში. ხოლო საწარმოო მიზნებისათვის წყალი გამოიყენება ტექნოლოგიურ ციკლში, აგრემერატის მიღების პროცესში. სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის წყალაღება ხდება ქ. ზესტაფონის წყალმომარაგების სისტემიდან. წლის განმავლობაში სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის საჭირო წყლის მოცულობა შეადგენს 35,1 მ<sup>3</sup>/წელიწადში. ხოლო საწარმოო ტექნოლოგიურ ციკლში საჭირო წყლის რაოდენობაა 3929 ლიტრი წელიწადში.

ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის თანახმად, საწარმო არ ახდენს საწარმოო დანიშნულების წყლის აღებას მდ. ყვირილადან და არ ხდება საწარმოში გამოყენებული წყლების ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტში.

ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე ბუნებრივი ნიადაგის საფარი წარმოდგენილი არ არის. ტერიტორიის თითქმის მთლიანი ფართობი უჭირავს საწარმოო ნაგებობებს და დამხმარე, სასაწყობო მეურნეობის მოედნებს. ტერიტორია (ეზო) ნაწილობრივ მოასფალტებულია ან დაყრილია ინერტული მასალები. აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ნიადაგზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმო გეოლოგიურად მდებარეობს ტერიტორიაზე, რომელიც წარმოდგენილია ქვიშაქვებისა და თიხების შრეების მორიგეობითი განლაგებით, რომლებიც დაფარულნი არიან მეოთხეული ასაკის ალუვიური გენეზისის კენჭნარით, დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის თიხოვანი, მსხვილნატეხოვანი (ხრეშოვანი) და ნაყარი გრუნტებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ტერიტორია დღეისათვის გამოირჩევა მდგრადობის მაღალი ხარისხით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს შენობის ფართობის (184 კვ.მ) გათვალისწინებით გაანგარიშებულ იქნა სანიაღვრე წყლების რაოდენობა რომელიც შეადგენს 205,5 მ<sup>3</sup>/წელ. თუმცა, ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის თანახმად, რადგან საწარმოო პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში, სანიაღვრე წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები.

ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: არამეთანური აქროლადი ორგანული ნაერთები (ააონ, ნახშირწყალბადები), ნახშირჟანგი (ნახშირბადის მონოქსიდი) და მტვერი (პოლიმერული მტვერი).

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბებას კანონმდებლობის შესაბამისად ადგილი არ ექნება უახლოეს მოსახლესთან.

ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, საწარმოს საქმიანობის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების მნიშვნელობები კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით არ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. რაც შეეხება ხმაურის გავრცელებით გამოწვეული კუმულაციურ ზემოქმედებას, ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის თანახმად, ამ ტიპის ზემოქმედება იქნება ძალიან დაბალი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში ხმაურწარმომქმნელ ძირითად წყაროებს წარმოადგენს: ორი ერთეული დასაქუცმაცებელი დანადგარი, გრანულატორი, ჰიდრაულიკური წნეხი და სამსხვრევი დაზგა, რომელთა ხმაურის ჯამური დონეა 87 დბა. დოკუმენტაციის თანახმად, ვინაიდან საწარმოო ობიექტის ირგვლივ არ მიმდინარეობს ძლიერ

ხმაურწარმომქმნელი საქმიანობები, ხმაურის ფონურ მნიშვნელობად (გაზომვის შედეგების საფუძველზე) აღებული იქნა 45 დბა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, განხორციელდა მოსალოდნელი ხმაურის დონის გავრცელების მოდელირება, სადაც გათვალისწინებული იქნა: დაშორების მანძილი ხმაურწარმომქმნელი უბნიდან ხმაურის მიმღებ წყარომდე (უახლოესი მოსახლე); საკვლევ ობიექტზე არსებული ხმაურის მაქსიმალური დონე (87 დბა), როდესაც ყველა საწარმოო ხაზი ერთდროულად ფუნქციონირებს; ხმაურის ფონური მნიშვნელობა (45 დბა). გათვალისწინებული არ ყოფილა ხმაურის წარმომქმნელ და მიმღებ წყაროებს შორის არსებული ხელოვნური და ბუნებრივი ბარიერები და ასევე საწარმოო ხაზის დახურულ შენობაში განთავსება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჩატარებული მოდელირებით, დადგინდა რომ უახლოეს მოსახლემდე (დაახლოებით 60 მ) მოსალოდნელი ხმაურის დონე შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებთან, როგორც დღის (50 დბ), ისე ღამის (45 დბ) საათებისათვის. ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოში არსებული დანადგარები, რომლებიც წარმოადგენენ ვიბრაციის გამომწვევ წყაროს, არ აჭარბებენ ვიბრაციის ზღვრულად დასაშვებ დონეს.

ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის თანახმად, სახიფათო ნარჩენები ტექნოლოგიურ პროცესის შედეგად არ წარმოიქმნება. საწარმოში შეტანილი დასამუშავებელი ნედლეულის გადარჩევისას წლის განმავლობაში მიიღება 1 ტონამდე - ე.წ დაბალი წნევის ცელოფანი, რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენს. ასევე, მოსალოდნელია 0,3 ტ/წელ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში ხდება საყოფაცხოვრებო და არასახიფათო ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და შესაბამის კონტეინერებში განთავსება. ნარჩენების გატანა პერიოდულად ხდება ქალაქის დასუფთავების სამსახურის მიერ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოო უბნებიდან დაცულ ტერიტორიებამდე დაცილების დიდი მანძილის გათვალისწინებით, უახლოეს დაცულ ტერიტორიებზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ასევე, დაგეგმილი საქმიანობით არ მოხდება ადგილობრივ ფაუნასა და ფლორაზე რაიმე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება.

საკვლევ ობიექტის უშუალო სიახლოვეს ისტორიული, არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არის.

ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშისა და გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკის საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 19 თებერვალს, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შემდგენელი საკონსულტაციო კომპანია შპს „სამთავროს“ წარმომადგენლები, საქმიანობის განმახორციელებელი ი/მ თემურ ხომასურიძე და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. საჯარო განხილვის დროს დასმული შეკითხვები ეხებოდა პროდუქციის რეალიზაციას, ეკონომიკურ და იჯარით აღებული

ფართობის განკარგვის საკითხებს. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში მოიცავს შესაძლო ავარიული სიტუაციების აღბათობისა და მათი მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილების წინადადებებისა და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.

**დასკვნითი ნაწილი:**

მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით სააგენტოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ინდ. მეწარმე თემურ ხომასურიძის მეორადი შესაფუთი მასალის გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მიმდინარე საქმიანობის გაგრძელება შესაძლებელია წარმოდგენილი ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის, გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკის, ექსპერტიზის შედეგად დადგენილი პირობებისა და აღნიშნული პირობების გეგმა-გრაფიკში მითითებული ვადების შესაბამისად.

**დადგენილი პირობები და შესაბამისი გეგმა-გრაფიკი**

N	პირობები	შესრულების ვადა მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან
1.	ინდ. მეწარმე თემურ ხომასურიძემ ვალდებულია უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელება ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშით წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ასევე უზრუნველყოს მიმდინარე საქმიანობაში ჩართული დანადგარების გამართულობაზე მუდმივი კონტროლი.	ექსპლუატაციის ეტაპზე
2.	ინდ. მეწარმე თემურ ხომასურიძემ უზრუნველყოს	2 თვის ვადაში

	<p>გარემოსდაცვითი მონიტორინგის კონკრეტული გეგმის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება ატმოსფერული ჰაერისა და ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, სიხშირის (სულ მცირე სამ თვეში ერთხელ) და მონიტორინგის წერტილების კოორდინატების მითითებით. ასევე უზრუნველყოს შემარბილებელი ღონისძიებების კონკრეტული გეგმის შემუშავება. ექსპლუატაციის ეტაპზე მონიტორინგისა და შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება უზრუნველყოს შემუშავებული გეგმების შესაბამისად.</p>	
3.	<p>ინდ. მეწარმე თემურ ხომასურიძემ უზრუნველყოს საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართულ გრანულატორში მიმდინარე გრანულების მიღებისა და მცირე პრეს-ფორმების მიღების ტექნოლოგიური პროცესის დაზუსტება.</p>	2 თვის ვადაში
4.	<p>ინდ. მეწარმე თემურ ხომასურიძემ უზრუნველყოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების (კოდები და დასახელება) შესახებ ინფორმაციის</p>	2 თვის ვადაში

	<p>დაზუსტება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების შესაბამისად, ასევე უზრუნველყოს მოსალოდნელი ნარჩენების რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება.</p>	
5.	<p>ინდ. მეწარმე თემურ ხომასურიძემ უზრუნველყოს ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების კლასიფიცირება და დროებით განთავსება შესაბამის კონტეინერებში, ასევე ნარჩენების გატანა შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.</p>	2 თვის ვადაში
6.	<p>ინდ. მეწარმე თემურ ხომასურიძემ ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასებისას იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის N408 დადგენილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების თანახმად და უზრუნველყოს ფონური კონცენტრაციის მნიშვნელობებით გათვალისწინებული საკითხების დაზუსტება.</p>	



	<p>ასევე უზრუნველყოს ყველა იმ მეთოდური მითითებების და რეკომენდაციების დაზუსტება, ლიტერატურული წყაროების მითითებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასების პროცესში.</p>	
7.	<p>უზრუნველყოს 1-6 პუნქტებით გათვალისწინებული პირობების გეგმა-გრაფიკით დადგენილ ვადებში სრულად შესრულება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენა, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს ზემოაღნიშნული პირობების (1-6) შესრულების შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია ს.</p>	<p>არაუგვიანეს 1 წლისა</p>